

ლოცვეროსცუროული საშუროი



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეში „საშურის მოამბის“ დამატება
№7 31 ივლისი, ორშაბათი, 2017 წელი

საყოველთაო მშვიდობისა და კლასობრივი ზავის პოლიტიკა „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული ფორმით ასახული და გადმოცემულია XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეები და რეალობა, მათ შორის, რელიგიურ საკითხებშიც, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების, დაცვისა და განმტკიცების აუცილებლობის დასაბუთებას ისახავს მიზნად.

ერთ-ერთი ცენტრალური იდეა, რომელიც გატარებულია პოემაში რუსთაველის მიერ და მიზნად ისახავს ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას, – ეს არის საყოველთაო მშვიდობისა და კლასობრივი ზავის პოლიტიკა ქვეყნის შიგნით. ცნობილია, რომ თუ ქვეყანაში სტაბილური და მშვიდობიანი ვითარება არ არის, ის სახელმწიფო საგარეო წარმატებას ვერ მიაღწევს და პირიქით, დასუსტდება. თამარ მეფის ეპოქაში, საქართველოს მრავალეროვან სახელმწიფოში 12 მილიონამდე ქვეშევრდომი ცხოვრობდა (აქედან ნახევარი ქართველი) და ეროვნული შემოსავლით, ჰამდალა ყაზვინის (ირანელი ისტორიკოსი) მიხედვით, იმ დროს იგი აღემატებოდა ინგლისსა და საფრანგეთსაც. ასეთი მრავალეროვანი მოსახლეობის მართვა და მათთან მშვიდობიანი თანაარსებობა საგანგებო პოლიტიკას მოითხოვდა და შოთა რუსთაველი, როგორც ეროვნული იდეოლოგი, სწორედ ამ პოლიტიკას წარმოაჩენს პოემაში.

რა მეთოდები უნდა გამოყენებულიყო ქართული სახელმწიფოებრიობის გასამტკიცებლად და სხვადასხვა სარწმუნოებისა და ჩვევების მქონე მრავალმილიონიანი ხალხების სამართავად საქართველოს მეთაურობით შექმნილ საერთო კავკასიურ სახელმწიფოში? სწორედ ამის წარმოჩენას ცდილობს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“.

რუსთაველის პოლიტიკური დოქტრინა განათლებული აბსოლუტიზმია, რომელშიც საზოგადოება იერარქიულად არის დალაგებული და ერთმანეთთან ჰარმონიაშია.

რუსთაველის მიერ დახატული მეფე სრულიად არ ჰგავს ფეოდალურ მეფეს. ის არ არის პირველი თანასწორთა შორის (პრიმუს ინტერ პარეს), როგორც ეს იმ დროს ევროპაშია. პირიქით, მისი სწორი არავინაა, მისი ძალა და გავლენა უსაზღვროა, მისი წარმოშობა კი – ღვთაებრივი. მეფეა მთელი ქვეყნის თვითმპყრობელი. მცირე ქვეყნის მეფე სარიდან უარს ამბობს ტახტზე დიდი მეფის – ფარსადანის სასარგებლოდ და მისი მოხელე, ამირბარი ხდება. ამ წესით მოხდა ქვეყნის გაერთიანება, ერთმეფობის დამკვიდრება. ერთი ხალხი (ერი) – ერთი მეფე პოლიტიკური იდეალია. მეფის სურვილი კანონია, მას წინ ვერავინ დაუდგება. ერთი სიტყვით, რუსთაველის მიერ დახატული მეფე არის თვითმპყრობელი, აბსოლუტური მონარქი, რომელსაც მორჩილებს ყველა კლასი, მთელი ერი.

ამ უზარმაზარ ბერკეტს – ძალაუფლებას მეფე ხალხის სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ იყენებს. იგი არის „მაღალი, უხვი, მდაბალი“, „მოსამართლე და მონყალე, მორჩმული, გამგებანი“, ეხმარება გაჭირვებულთ და დავრდომილთ, ქვრივ-ობლებს, აწარმოებს ფართო ქველმოქმედებას, ებრძვის სიავეს და ბოროტებას, იგი არის „გონიერი, გულით ღბილი“. ასეთი მეფის ქვეშევრდომნი ბედნიერნი არიან, ვინაიდან:

„ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვებს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვეს,
ავის მქნელნი დაამინეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს“.

ამრიგად, რუსთაველის იდეალია მეფე თვითმპყრობელი, მეფე რეფორმატორი, მეფე მოსიყვარულე და ქვეშევრომთათვის სიმართლის მიმნიჭებელი. ეს იდეალი რუსთაველს ჰაერიდან არ მოუტანია – იგი აიღო XII საუკუნის საქართველოს რეალური შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობიდან, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მოღვაწეობიდან.

დავითი იყო თავისი ეპოქის უდიდესი რეფორმატორი და მხედართმთავარი, რომელმაც სასიკვდილო საფრთხე მოაშორა კავკასიას სელჩუკების სახით და უძლიერეს ქვეყნად აქცია საქართველო. თამარმა, პირველმა შეაჩერა საქართველოში სიკვდილით დასჯა, ასოების მოკვეთა, თვალების დათხრა. ცნობილი იყო მისი ქველმოქმედება. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, თამარის დროს ყოფილა კანონი, რომლის ძალით საშინაო და საგარეო შემოსავლის 10% ქველმოქმედებაზე იხარჯებოდა (ნაათალი), რისთვისაც დაარსდა საგანგებო უწყება.

როდესაც ტახტზე ახლადასულ 18 წლის თამარს დაუპირისპირდა ყუთლუ-ასლანის დასი და მოითხოვა ხელისუფლების გადანაწილება, რუსთველი გადაჭრით დადგა თამარის მხარეს, რადგან თუმცა პროგრესული, მაგრამ ქვეყნისათვის ნაადრევი იდეა, სახელმწიფოს დასუსტებას გამოიწვევდა. რუსთველმა ეს არ იკმარა და საჭიროდ ჩათვალა მეფის უფლებების ხალხში იდეურადაც გამაგრება. მან პირველმა წამოაყენა ლიტერატურაში თვითმპყრობელობის იდეა და აღჭურვა თავისი მეფე ასეთი წარმტაცი თვისებებით.

მეფე თვითმპყრობელი, რუსთაველის მიხედვით, თავის პოლიტიკას ატარებს დიდებულთა მეშვეობით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „დიდება“ ძველად თანამდე-

ბობასა და მასზე დაფუძნებულ პატივს ნიშნავდა, დიდებული, იმავე დროს დიდი მოხელე იყო. რუსთაველის იდეალია მოხელეობა, სახელმწიფოს სამსახური და არა გვარიშვილობა, რაც სრულიად ეთანხმება მის პოლიტიკურ კონცეფციას. „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში მართო წოდებრივი წარმოშობით არ უნდა განისაზღვროს, მასზე მალა დგას ადამიანთა პირადი ღირსება. რუსთაველის ეს მოსაზრება („თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა და იგი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მტკიცედ დანერგა ჯერ დავით აღმაშენებელმა, მერე კი გიორგი III), ნითელი ზოლივით გასდევს „ვეფხისტყაოსანს“.

რუსთაველის მიერ პოემაში დახატული სოციალური ურთიერთობები არის პატრონყმობა – სადაც ერთი მხრივ დგას სიუხერენი, მეორე მხრივ კი – მისი ვასალი. რუსთაველთან მხოლოდ ორი ფენაა დაბეჩავებული და დახმარების მძიებული – გლახაკნი და მონები. ღარიბებს – დახმარება, მონებს – თავისუფლება („მეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“) – აი, რუსთაველის სოციალური იდეალი.

ამრიგად, რუსთაველის იდეალია არა ყოველნაირი მეფე, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც მზესავითაა და რომლის სხივები ყველას ერთნაირად ეფინება, რომელიც ეხმარება ღარიბებს და ათავისუფლებს მონებს, მისდევს სიმართლეს. („ქმნა მართლისა სიმართლისა“). ერთი სიტყვით, უმაღლესი კაცთმოყვარული თვისებებით არის დაჯილდოებული. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“ – ამ გზით და ამ პრინციპზე დაყრდნობით მალდება მეფის ავტორიტეტი და ძლიერდება სახელმწიფო. საბოლოოდ, რუსთაველის მიზანია ქართული სახელმწიფოს მკვიდრ, ფართო საფუძველზე აგება. ამავე პოლიტიკურ მიზანს უმორჩილებს რუსთაველი თავის რელიგიურ დოქტრინას.

შუა საუკუნეებში, ქრისტიანულ სამყაროში არ დანერგა არცერთი პოემა, სადაც არ იყოს ქრისტიანობის აპოლოგია, ქრისტეს მოძღვრების ქებათა-ქება. ჯვაროსნული ომები იმ ეპოქაში წარმოებდა. ამ საერთო რელიგიურ ალტკინების პერიოდში ინერება გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ და ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები არც ქრისტიანობა, არც სამება, არც – მართლმადიდებლობის რელიგიური დოგმატები. რუსთაველი რელიგიური მონიზმის მიმდევარია – ღმერთი ერთია. პოემაში ღმერთი ნახსენებია 193-ჯერ და ყოველთვის ერთი და იმავე აზრით. ავტორი, ჯერ კიდევ წინასიტყვაობაში გვამცნობს მის რელიგიურ შეხედულებას, რაც გატარებულია პოემაში:

„ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც, დათრგუნვა მე სატანისა“.

ე. ი. ღმერთი ერთია, ქვეყნის და სულიერთა გამჩენი, მაგრამ არის ასევე სატანა, მაცდური, რომლის დათრგუნვა ღმერთის დახმარებით შეიძლება. ეს, ასე ვთქვათ, საკაცობრიო - სახალხო რწმენაა. რუსთაველის მსოფლმხედველობა არც პანთეისტურია, არც – ათეისტური, ის – თეისტურია. მისი თეიზმი არც ქრისტიანულია, არც მაჰმადიანური, არც სექტანტური. ის არის საყოველთაო, საკაცობრიო, ადამიანური.

სხვადასხვა არაქრისტიან ერებს შორის მოქცეული მცირერიცხოვანი ქართველი ერი თავს ვერ გადაირჩენდა სარწმუნოებრივი ფანატიზმითა და დროშით. მას უნდა გამოენახა საერთო ენა მეზობლებთან, რომელთაგან მას ჰყოფდა სარწმუნოება. საერთო ენის გამონახვა კი შეიძლებოდა სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე (ნიადაგზე). აქედან, სარწმუნოების თითოეული ხალხის შინაურ საქმედ აღიარება, ხოლო სახელმწიფო ინტერესების პოლიტიკის მთავარ ღერძად გამოცხადება – აი, რით ხასიათდება საქართველოს მეფეთა პოლიტიკა დავით აღმაშენებლიდან დაწყებული. ეს სტრატეგია კიდევ უფრო გაძლიერდა თამარის მეფობისას. რით შეიძლო თამარს მის საბრძანებელში შემავალი უამრავი ეროვნების მილიონობით ადამიანთა ერთი ინტერესით შეკვრა? – მხოლოდ ერთით: შემაკავშირებელი, საერთო მომენტების წინ წამოწევით და რელიგიური ბრძოლის სავსებით განდევნით. ამრიგად, რელიგიური მშვიდობიანობა, ყველა რელიგიის პატივისცემა და დახმარება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და ტოლერანტობის მაღალი დონე იყო.


ერთი სიტყვით, თამარ მეფის ხანაში გაბატონებული პოლიტიკა მოითხოვდა რელიგიური დაპირისპირების უკუგდებასა და საერთო პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებზე სახელმწიფოს დაყრდნობას.

რუსთველი, როგორც ეროვნული იდეოლოგი და თამარის ინტერესების გამტარებელი, დადგა სწორედ ამ ნიადაგზე. მისი ურელიგიოზობა მისი პოლიტიკაა, სახელმწიფო მოსაზრების და ინტერესების გამომხატველია. ის უგალობს არა ქრისტიანს ან მაჰმადიანს, არამედ ადამიანს, საზოგადოებას, რომელსაც მეთაურობდა გონიერი ქართველი მეფე-ქალი და რომლის პოლიტიკური გეზი მას მოსწონდა და სწორად მიაჩნდა.

ვაჟა შუბითიძე
პროფესორი, პოლიტოლოგის მეცნიერებათა დოქტორი



ა უ ბ ა ლ ა რ ი



მიხეილ მამუკელაშვილი

მილი, გარეკე!

მილი, გარეკე, თორემ ქარმა უკვე გარეკა,
 დეკემბრის წყარაშს ფარსკლავებზე ველარ შველიან,
 ცამ „სულთსანას“ სეველიანი ხარი დარეკა
 და მთარეც ახლა, ძველორბურად თუნიშველია.
 აი, მოვდივარ, წყელი ცა სულში მიძვრება.
 სულში ზობაქრებს, სულში ავობს, სულში მყეფარობს,
 ერთხელ, სიბერეს კი არადა, ხომ შეიბოღება,
 თუნდ ერთხელ მაინც, თვით სიკვდილსაც გამოეპარო...
 მილი, გარეკე, თორემ ჩემს ქაბს ფრთები დააჭყდა,
 მთარის რაკვასაც ველარ უბოღებს ძველი ყაფარი
 და თუმცა, ჟამი მეც მეხივით სვზე დამაჭყდა,
 „ჩემი სამარხი ზედ მარტყია ვერცხლის ქამარი“.
 მიწაზე ვიყავ და ცა იყო ჩემი წაწალი,
 დღის აღარც ცა მსურს, აღარც მწა, აღარც მზის ველტვი,
 მილი, გარეკე, ის მესამე ვა მიმასწავლე...
 და არ იქნება ის მესამე ახლა ზედმეტი,
 შლევი ვიყავი, გვარავნები მთარის ანაბრის...
 და ქარაც შლევი, ტანზე ლექსის ზღაპარს მაცემდა.
 დღის, წუთისაოჯლის ხილზე მდგარი, უნდად ვბარბაქებ
 მე – ვისაც აღარ, ღვიბოც კი ვერ მბარბაქებდა.
 მილი, გარეკე, ამ სიბერეს დედა უტირე,
 კვლავ, თუნდაც ერთხელ, მოგივთე შენი ჰარეში.
 ვნებათ ჰარეში ბებერ ვულში გზები უტირე.
 რამ დაგჩივს ლექსი მოწამლოლი და სისხლნარევი.
 ვიცი, ღამდობა, ვიცი, საღდაც ციფა იანვარს
 და მზის გარეშე დარჩენილი ჩერო სლუკუნებს,
 ნუ მეკითხები, რად გავვებსნა ვულის იარა,
 ამ წუთისაოჯლის ბნელ კოფოზე შემოსკუპლოებს.
 ნუ მეკითხები, ჰასუხია თვად ის წლოები,
 თვადახილშუა რამ გავჩინდნენ, უაღვირონი,
 დღის, ზამთრისაირას მინანქარში ნახად ვიწვიები,
 მხარებზე ვადმოდის ამ ცხოვრების მღვრიე მირიანი.
 აბა, რად გვირდა ჩვენ დიდება – ლექსის სულთსანებს,
 ჟამი თუ ხელს გვხვევს, გვეუბნება: „წამო, ბიჭო, ქვე...“
 აქ მთარია, სიკვდილივით გვდევდეს სულ თან ეს:
 – მოკვდებით, მაგრამ არასოდეს წამოვიჩივებთ!

„შვილი რომ ასეთ ლექსს დაგინერს, მეტი
 ბედნიერება რაღა უნდა იყოს?!“
 (მ. მთვარელიძე)

მას შევხვდავ და ვამბობ:
 – ყველა ერთი არ არის,
 ერთნაირი არ არის ყველა...
 ზოგს შეუძლია,
 სამშვიდობოს გადავიყვანოს ისე,
 რომ ხელიც არ მოგვიდოს
 და საკუთარი გულის ხიფზე
 ჭებირებად ამოგეშენოს...
 მას შევხვდავ და ვამბობ –
 არა, ერთნაირი არ არის ყველა!..
 ზოგის მზერას შეუძლია,
 შენი არსების ყინულებში ისე შევიდეს,
 ტკივილის ყველა აისბერგი მზედ აქროს
 და ასი ათასი მზე ავინთოს,
 რომ მერე, სულ იმეორებდე –
 ნახეთ, რამდენი მზე ანთია ჩემში, ნახეთო.
 მას შევხვდავ და ვამბობ:
 – ყველა ერთი ვერ არის!
 რადგან მე ვიწვინ კარს,
 რომელიც ყოველთვის, როცა
 წინ გახედვის შემეშინდება,
 მოდის ხოლომე და
 თან მოაქვს ერთი
 ჭადოსნური სიტყვა,
 რომელიც შინაარსით ღმერთს ჰგავს,
 მაგრამ უღერს როგორც „მამა“!..

თავისუფლება

განსწავლიდნენ, რომ
 ამ სიტყვაში იწყება და
 მასში მთავრდება შენი ერთი,
 მხოლოდნითი თავის ზრუნება,
 რომ კრძო განრდებს
 მრავლობითი რიყვი უძებნო, –
 ნიშნავს, შენი მშობლიური ტკივილები
 სხვა ტკივილების კალკით შერვალო.
 განსწავლიდნენ, რომ
 მისი ჰირადი სემანტიკა ვერასოდეს იგუშნ
 სხვათა მშობლიური ტკივილების არქაიზიმებს,
 ნეოლოგიზიმებს, ვერც – ზარბარიზიმებს.
 განსწავლიდნენ, რომ
 ეს სიტყვაა შენი კრძო,
 საკუთარი თავის
 ყველაზე ჭეშმარიტი ზრუნვა და რიყვი
 და ღმერთობითი სქესიც ეგ არის.
 განსწავლიდნენ და განსწავლიდნენ,
 მაგრამ ერთხელაურ,
 საკუთარ თავთან გამორდისას,
 აღმოაჩინე, რომ
 ამ ენაში
 არწერთი სიტყვა
 არ იზრუნვის ისე კრებთადა,
 როგორც სიტყვა
 თავისუფლება.



მიხეილ მამუკელაშვილი

პროზილის ფოტოები

რა კარგი ხარ,
 როგორი თბილი მზერა გაქვსო –
 მინერს ვილარ და მახსენდება,
 როგორ მძულდა მთელი სამყარო,
 ამ ფოტოზე როცა აღმოვჩნდი.
 აქ სიხარულის მიზეზების
 ნაკითხვას წდილობს
 ვილარ სხვა და...
 ან, საიდან უნდა იწოდეს,
 რომ, ამ დროს, მტკივან დანაკარგებს
 უიმედოდ ვთხოვ დარბუნებას.
 სხვა ფოტოზე კი
 ვარსკვლავები მიჩანს თვალეში –
 ასე ამბობენ.
 მაგრამ რა ვქნა,
 მშვენივრად მახსოვს,
 რემელი იყო ეგ რაღარ,
 შემდეგ, ფოტოზე რომ
 ვარსკვლავებდად გამოისახა.
 აი, ეს ფოტოც ყველას მოსწონს
 ხელი ისე მაქვს,
 რაღარ ძვირფასს ვემადლები – ასე ჰგონიათ.
 სინამდვილეში,
 აქ სიყვარულის კემშვიდობები.
 აქ კი მინერენ:
 – რა სიკეთე გამოსჭვივის გამომხედვიდან,
 ნეტავ, ასე ვის უყურებო?
 ზუსტად მახსოვს, ვისაც უყურებ,
 ისე მინდოდა, მომკვდარიყო...
 და ზოლოს, ფოტო,
 რომელიც თავად გადავიღე, –
 საქმე არ მქონდა,
 მახსრობისას მუხლი შევკმეხნე
 და აბა, ზედ სევდად ვიღვრები...
 და ეს ერთი მშვიდი მახსრობა
 ათასობით გამამხნეველ სიტყვას იღებს –
 ყველაფერი იქნებაო ძალიან კარგად.
 შენ კიდევ იტყვი,
 რომ სიმართლე არ იმადობა?!



dilis locva


ნმინდაო ღლეო,
 ამ ერთხელ მაინც დამინდე და
 საგულდაგულოდ ჩამოშვებულ ქუთუთოებს მოარიდე
 შენი უკმეხი დაძაღვება,
 შენს წარიეღო აურზაურში რომ ექაჩება
 ჩემს მორჩილ მზერას...
 მაგ შენს უმაღლეს მეუფებას
 რას დააკლებს, აბა, ერთი გამონაკლისი?
 დაღლილი არის ჩემი მზერა,
 შენმა ზნელობა წხადმა დაღალა,
 რადგან ყოველთვის
 როცა სიზმარში – დავინყების მდინარეში ჩადგება და
 სადაცაა, უნდა ჩაყვინთოს,
 განიზმინდოს, გარდაისახოს,
 მაშინვე, რაღაც მანქანებით,
 თავს ყვეყურად ესხმის ხოლმე
 შენი ყაჩაღი ხელქვეითი – გამოღვიძება
 და აბრუნებს...
 სად აბრუნებს, – თავად არ იყის.
 ჰოდა, იქნებ, ამ ერთხელ მაინც დამაწადო,
 მუხლამდე ვდგავარ სიზმარში და
 დავინყების მეჩეჩებს ვითვლი:
 ეს მეჩეჩი დაბადება,
 ეს – ტკივილი,
 ეს – სიყვარული,
 ეს – დანაკარგთა ერთგულება,
 ეს კი – ვერასდროს გამხელილი ოქნების რიფი.
 როგორ და, მზერის ზუღეებსავე მისწვდება წყალი...
 და ვლოწყლომ:
 ნმინდაო ღლეო, დაანებე ჩემი მზერა
 დავინყების კრიალა ნაკადს,
 ჩამოშვებულ ქუთუთოებს
 ერთხელ მაინც ნუ გადამიხსნი,
 რადგან ისე არაფერი აწყალეებს მზერას,
 როგორც სიზმრიდან სხვა სიზმარში გამოღვიძება.

როცა პირველი მიდიოდა, ვთქვი –
 აქ დავმთავრდი
 და მეორე არასოდეს აღარ იქნება.
 მეორეც როცა მიდიოდა,
 ვთქვი – დიდი ვარ
 და ჩემო თავო,
 პირობას ვდებ,
 რომ მომდევნო მისნაირი
 აღარ იქნება.
 როცა მომდევნოც მიდიოდა,
 ვთქვი – ძლიერი ვარ,
 ძლიერი ვარ
 და ვინც მე მინდა, ის იქნება.
 მეც მისგან რომ მოვდიოდი,
 ვთქვი – დავბრძენდი და
 ვინც მიმიღებს, იგი იქნება...
 და ვინც მიმიღო,
 ვთქვი – მომზებრდა,
 არაფერიც აღარ იქნება!
 და ნამოვდი
 და ნავიფენ...
 და ახლა გდგავარ,
 ერთხელ უკვე დამთავრებული,
 ერთხელ დიდი,
 ერთხელ ძლიერი,
 ერთხელ ზრძენი და
 არაერთხელ მომზებრებული!..
 და გეუბნები –
 შენ შეგიძლია,
 შეგიძლია, მხოლოდ ერთხელ შემომხედო
 და ვთქვა – რა იყო, სულერთია,
 შენ თუ იქნები...

მადლობას გიხდი, სილამაზეც,
 მადლობას გიხდი,
 შენ, ერთადერთმა რომ დაინდე ჩემი სხეული,
 მისი კუთხეები შესალოესად ტკივილს დაუთმე...
 არადა, იქნებ, მეც კი მსურდა, ჩემს ზედპირებს
 შენი თვალთმაქერი ყვავილები გამოესხათ და,
 თავმოძნონე სიყვარულივით,
 მათზეც ეთქვათ – ლამაზიაო.
 იქნებ, ოდესღაც მეც მინდოდა,
 ჩემს სუნთქვასავე მოჰყოლოდა
 ეგ ხელოვნური სურნელება,
 იქნებ, მართლაც მსურდა, რა ვიყრი...
 მაგრამ, ახლა მადლობას გიხდი,
 რომ დაინდე ჩემი სხეული...
 რადგან არაფერს ანადგურებს წარმავლობა
 ისე უშნოდ,
 ისე მახინჯად,
 ვით სილამაზეს...



ახალი ნიგნი



ხათუნა ჩიჭაძის ახალი კრებული – „გამარჯობა, მამა!“ ცნობილი ექიმის – სერგო ჩიჭაძის ხსოვნასა და მშობლიურ სოფელ – ზვარეს ეძღვნება. ნიგნი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის წინაპრების, წარსულისა და საგვარეულო ისტორიის ცოდნა.

2017 წლის 5 ივლისს, საშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა კრებულის წარდგინება.

* * *

..... მე ყველაფერი გავაკეთე რაჯ შეძეძლო... არ დავკარგავ ჩემი წინაპრების მადლოს! არ გავარევეთ კურიას! ვიჭრიალენთ წარსულის ირგვლივ, მომავლის სასიკეთოდ. ვილორენთ ამ მთებიდან მთელი ქვეყნისთვის, რათა კეთილი გენი, კეთილ ჭურჭელში მყოფი, თანაზიარი გაუხდეს შთამომავლობას! აქ ვარ! – შენს, ჩემს, ჩვენს ზვარეში! – გამარჯობა, მამა!”

თეთრი ხალათი

თეთრი ხალათი არ მიყვარს, მამა, მაგონებს ზამთრის თოვლიან ნუთებს, რომ მოდიოდი დაღლილი, მარად და ალიონზე ზერტყავდი მნუსრებს! და ალიონზე ძილბურანებში, ვილარ იძახდა, – შველას ითხოვდა. შენ უხმოდ, ისევ ნამძინარევი, ირვამდი, – მერე კი, ისევ თოვდა... თეთრი ხალათი დარდის ფერია, შენი თმის ფერი, სირვისფერი... ჩემი თვალენი ისევ გელიან, ისევ ელიან შენნაირ ექიმს... ეს არჩევანი, ცვირთი და მძიმე, თავგანწირვის გაგქონდა ლელო, ეშმაკი ქვესკნელს ისე ჩაკირე, გადარჩენილთა სულებით, ჩემო! ახალ კი, უხმოდ, სულგანაზულა, თეთრი ხალათი, მოელის ჩვეულებს... ჩვენი ფესვიდან ისევ ამოვა ულორტი! – გვარი კი ინატრებს რჩეულებს! ...არ მიყვარს თეთრი ხალათი, მამა! შენს დაღლილ სახეს და დარდს მაგონებს...

ხათუნა ჩიჭაძე



...გულნამერეა ვერასოდეს მიეახლებს უდიდესი განრდების საზღვარს, ვერ გადასრდება და ვერ შინაგან ტკობას განიერდის, დახშულია მისთვის დაღლილი სულის ვალმობილი, უმჩატესი, ნაზი ფარფატი ნავარდი. კმაყოფილებით და ნეტარებით სავსეა იგი.

„მე შევძლებ წარსულის სამზეოზე გამოტანას“, – წერს ხათუნა ჩიჭაძე. აკი შეძლო და უდიდესი სიყვარულითა და მონინებით უკეთილშობილესი მისია შეასრულა: წინაპართა, მამა-პაპათა აჩრდილებს მორჩილებითა და რუფუნებით მიუახლოვდა და, განა მარტო თავისი, – ყველა შთამომავლის სიამაყე და სიყვარული ამერო.

ხათუნა ჩიჭაძემ გავგანებვირა არაერთი საინტერესო ნიგნით, მაგრამ, ვფიქრობ, მისი ამჟამინდელი ჩანაფიქრი, არა მარტო ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის დასტურია, არამედ ანარეკლია უდიდესი მორალური რესურსისა: მას უყვარს, ახსოვს და პატივს მიაგებს.

კეთხულობდი და გამუდმებით ვფიქრობდი, რამდენი მონდომება, მიზანდასახულობა, შრომა, სიყვარული, სიბზო და ტკივილი ჩაუძალავს ხათუნა ჩიჭაძეს სტრიქონსა და სტრიქონს შორის.

როგორ გამობრძმედილა და როგორ დამძიმებულა განრდილითა და გადატანილით.

არავინ და არაფერი დავინყებია, არავინ დატოვა, თავისი დიდი სიყვარული და სიბზო რომ არ გაენანილებინა და გაეზიარებინა.

წარმომიდგენია, რა სიამაყე და კმაყოფილება დაეუფლებს ყველა ზვარელს, რომელიც გადაძლის ამ მშვენიერ ნიგნს და თავისი წარსულის დოკუმენტურ სურათებს, რეალობას ამოიკითხავს. ალბათ, მისიერად შეიყვარებს ხათუნა ჩიჭაძის ლიტერატურულ-დოკუმენტურ პროზას, რომელშიც ხალხური მეტყველების სიბზლი და ავტორის პოეტური ძალა ისეა შეკრული, რომ შენ თვალნინ წოყბ-ლოდება სოფლის ჭალა, ოჯახის სუნი, თივის ზვინი, დედოფალები, მწარბაღა, ექიმბაძის უძველესი იარაღები...

„ნავალ, ნავილენ ტკივილს, რომელიც ბავშვობიდან რხოვრობს ჩემში, ზვარის გავლით, იმით, რომ აქ ის ადამიანენი აღარ არიან, ვინც მიყვარდა, აღარ არსებობენ ურთიერთობენი, სახლები, ეზოენი, ხეენი, გზენი“, – მელანქოლია, თბილი სევდა შეპპარვია ავტორს.

რა არის იმაზე დიდი კეთილშობილება, ერთი პატარა სოფლის ყოფა-რხოვრების სურათენი გაწოყბლო და უკვდავყო, ახლოობლებსა და ურხოხს სხვაგვარი თვალით შეახედო შენი ხალხისა და შენი ადგილის დედის, ერთი შეხედვით მარტივ ყოფას, ხოლო ამ სიმარტივეს უდიდესი სიყვარული დაუდო საძირკვლად, საიდანარ შენ და შენი შთამომავლები უშრეტ ძალასა და ენერგიას ეზიარებინან.

„შეიძლება, დრომ წაშალოს გზა, შეიძლება, ზუნებამ შერვალის გარემო, მაგრამ თუ გულში შენი ქვეყნის, მინის, წარსულის, წინაპრების სიყვარული გაქვს, თუ გტკივა შენი მამა-პაპის მიერ უპატრონოდ დატოვებული გზა, ეს დასასრული არ არის“, – ხათუნა ჩიჭაძემ, სწორედ წარსულიდან გამოიხმო ის ძალა და ენერგია, რომელიც მშვენიერ სიტყვად გარდაიქმნა.

„მადლიერება უდიდესი სათნოებანა... მადლიერება სიყვარულის ბადებს, ან, იქნენ, სიყვარული ბადებს მადლიერებას! ვინ იყის!”

ხათუნა ჩიჭაძე სწორედ მადლიერებისა და სიყვარულის უკეთილშობილეს საქმეს ემსახურება ამ მშვენიერი მხატვრულ-დოკუმენტური პროზით.

იამზა შავიძე, ფილოლოგი